სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანა გოგიბერიძე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვა დისტანციურად

(პრობლემები და გამოწვევები)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფესორი

მაკა სალხინაშვილი

გორი

2020-2021 სასწ. წელი

სარჩევი

ანოტაცია ... 3

შესავალი ... 6

თავი I. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ცნება, სახდელის სახეები ... 9

1.1 ადმინისტრაციული სამართალის პრინციპები. ... 9

1.2. დისპოზიციციურობის პრინციპი ... 10

1.3 ადმინისტრაციული სამართალდაღღვევის ცნება ... 11

1.4 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება ... 13

სახდელის სახეები ... 15

თავი 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის სტადიები ... 18

2.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ... 18

2.2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში ... 20

2.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა სასამართლოში ... 27

2.4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში ... 30

თავი 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვა დისტანციურად ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებში ... 34

3.1 დისტანციური სხდომების გამომწვევი მიზეზები ... 34

3.2. დისტანციურ სხდომებზე დასწრების პრობლემები, ტექნიკური ხარვეზები, სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლა და გადადება ... 36

3.3 დისტანციური სხდომების უპირატესობები ... 44

დასკვნა ... 46

გამოყენებული ლიტერატურა ... 49

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრმოში განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, არსი და დისტანციურად წარმართვის პრობლემები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ითვალისწინებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების, ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივ ნორმებს,რომელსაც ადამიანი არღვევს და ეწინააღმდეგება კანონს.[1]

ასევე ნაშრომში მიმოხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სტადიები, ადმინისტრაციული სახდელის სისტემა, სახდელის სახეები, ცნება და არსი. ოქმის შედგენა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია,რომ უფრო ნათელი გახდეს 2020 წლის პანდემიის პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა როგორ ხორციელდება დისტანციურ გარემოში, რა დადებითი მხარე აქვს დისტანციურად გამართულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ საქმეებს, ტექნიკური ხარვეზები სხდომის მიმდინარეობისას,რომელიც გამოსწორებადია და საჭიროებს მეტ მუშაობას ტექნიკური კუთხით.

ნაშრომში საუბარია 2020 წლის პანდემიაზე, პანდემიის დროს შეცვლილ კანონმდებლობაზე, ვირტუალურ სამართალწარმოებაზე, რომელიც მიმდინარეობდა დისტანციურად, იწვევდა ტექნიკურ ხარვეზებს, დასწრების პრობლემებს და შესაბამისად ხდებოდა საათობით სხდომის გადადების აუცილებლობა.

ნაშრომის წერის დროს საჭირო გახდა კვლევის ჩატარება, კვლევა გულისხმობდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას დისტანციური სხდომების წარმართვის მიზეზებზე, ჩატარებულ სხდომათა რაოდენობაზე საქართველოს ზოგადი ადმინსტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების თანახმად რამდენიმე ადმინისტრაციულ ორგანოში.კერძოდ,განცხადებები ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ დაიგზავნა:

[1] იხ: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 10 [ბოლოს ნანახია 2021წლის 10 იანვარს]მოპოვებულია:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

თბილისის მერიაში, გორის მერიაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიაში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 3 საკვანძო თავისაგან და 11 ქვეთავისაგან.

Anotation

Anna Gogiberidze

The master's work examines the concept, essence and problems of remote control of administrative law. An administrative offense is a rule of law provided by the state, public order, the rights of citizens, the Code of Administrative Offenses, which a person violates and is illegal.

The article also discusses the stages of proceedings in the case of an administrative offense, the system of administrative penalties, types of penalties, concept and essence. Drawing up a protocol and consideration of a case on an administrative offense in an administrative body and in court.

The aim of the master's thesis is to clarify how an administrative offense case during the 2020 pandemic is handled remotely, what are the advantages of remotely administering administrative offense cases, technical flaws during a session that can be corrected and that require additional technical work.

The document discusses the 2020 pandemic, the legislation changed during the pandemic, a virtual trial that took place remotely, causing technical glitches, attendance problems, and therefore the need to reschedule a session by several hours.

At the time of writing, the study required publicly available information on the reasons for conducting remote sessions, the number of sessions in accordance with Articles 37 and 40 of the General Administrative Code of Georgia in several administrative bodies. In particular, requests for information were sent to: Tbilisi City Hall, Gori At City Hall, Tbilisi City Court, National Commission on Energy and Water Supply of Georgia.

The master's work consists of 3 mainchaptersand 11 subsections.

შესავალი

ადმინისტრაციული სამართლის როლი და მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოების არსებობა - განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ის აწესრიგებს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები სათავეს კონსტიტუციიდან იღებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა, აღასრულოს, დაიცვას და განასახიეროს ადამიანის ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლების საქართველოს კოსტიტუციით არის განსაზღვრული. კონსტიტუციური სამართლის დომინირებულ რეგულირებას სწორედ ადმინისტრაციულ სამართალში ვხედავთ. ვინაიდან კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპები ზოგადად ადმინისტრაციულ სამართალში, ყველა სხვა დარგისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი ინტენსივობით არის წარმოდგენილი, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობის მეშვეობით ხდება კონსტიტუციური სამართლის დადგენილი შინაარსის და პრინციპების დაკონკრეტება.[2] მართალია ადმინისტრაციულ სამართალში კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპების ძებნა, თვითმიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართლაწარმოებით ხდება ადამიანის ფუნდამენტური უფლება-მოვალეობების დაცვა-აღსრულება, ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ამ საკითხის განხილვა, თუ როგორ ხდება ეს 2020 წლის მსოფლიო პანდემიის პირობებში.

2019 წლის დეკემბრის თვეში, ჩინეთში, ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანში დაფიქსირდა კორონავირუსის ეპიდემია, რომელიც იმდენად მზარდი გახდა არა თუ ჩინეთი, არამედ მთელი მსოფლიო მოიცვა. 2020 წლის დასაწყისში ის უკვე ევროპის და არამარტო ევროპის ქვეყანებში პროგრესით იზრდებოდა. აქედან გამომდინარე 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოცხადა. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მასობრივი

[2] იხ:ტურავა პ, ხ. ი. (2016). ადმინისტრაციული სამართალი. თბილისი.გვ.1
http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-journal-administrative-law.pdf

კარანტინი გამოცხადდა და რათქმაუნდა ეს შეეხო საქართველოსაც. გამოცხადებული საყოველთაო „Lockdown“-მა დახურა სკოლები, ადმინისტრაციული ორგანოები, კერძო სექტორი და ყველას მოეწოდა მუშაობა დისტანციურ რეჟიმში ეწარმოებინათ. მაშინ, როდესაც ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსად გვხვდება მსგავსი მუხლი, თუმცა კანონდარღვევად რასაკვირველია არ ჩაითვლებოდა, ვინაიდან ქვეყანა გადასული იყო საგანგებო რეჟიმზე და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კანონდარღვევა არ იქნებოდა. მაშასადამე, ბოლო დროის განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ციფრული მმართველობის განვითარება.გამომდინარე იქედან, რომ მსგავსი გამოწვევისთვის თითქმის არცერთი სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანო არ იყო მზად, წარმოიშვა ძალიან ბევრი პრობლემა, გამონაკლისი არც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ყოფილა, რადგან ზემოთ ხსენებული კანონი არ არეგულირებს, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციული საქმის წარმოება დისტანციურ რეჟიმში. ამ ყველაფერმა წარმოშვა თემის აქტუალობა.

თემაზე მუშაობისას განხილული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, პასუხისმგებლობა, სახდელის სახეები, როგორ ხდება სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და მისი განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში, ასევე , როგორ ხდება ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დისტანციურ რეჟიმში.

ძირითადი დასკვნები:

თემაზე მუშაობისას შევისწავლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები, დისტანციურად სამეთა განხილვისას წამოჭრილი პრობლემები.გაანალიზების შემდეგ გამოვლინდა რომ:

- არსებობს ხარვეზები, რაც აფერხებს დისტანციურ რეჟიმში ადმინისტრაციული საქმის წარმართვას.
- იქმნება ტექნიკური ხარვეზი სხდომის მიმდინარეობისას.
- პრობლემა იქმნება სხდომაზე დამსწრე მხარეთაგან, რომლებთაც არ აქვთ საკმარისი გამოცდილება ტექნიკასთან მუშაობის.
- ონლაინ სხდომებისათვის აუცილებელია გამართული ტექნიკა და წვდომა ინტერნეტთან.

- ხშირ შემთხვევაში ზემოთ ხსენებული რიგი პრობლემების გამო ხდება სხდომის გადადება.

დასახული მიზნები:

ზემოთ ჩამოთვლილთაგან გამომდინარე აუცილებელია დავსახოთ მიზნები:

- ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში. (დისტანციურად სხდომების წარმართვაზე)
- ტექნიკური მხარის გაუმჯობესება, რათა დაბრკოლების გარეშე იქნეს შესაძლებელი პროცესების მართვა.
- საზოგადოების ტექნიკური მხრით გადამზადება.
- შეიქმნას სპეციალური სტრუქტურა სახელმწიფოში, რომელსაც დაევალება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სხდომების დისტანციურად წარმართვისას პრობლემების აღმოფხვრა.

სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

გამომდინარე იქედან, რომ 2020 წლის მიწურულს, პანდემიის დასასრულზე ლაპარაკის საფუძველს არაფერი გვაძლევს სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემებზე საუბარი, რაც გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის დროს წარმოქმნილ ხარვეზებს. შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებელია გახდეს ნორმატიული აქტების დახვეწის საწინდარი, რათა ხარვეზების გარეშე გახდეს შესაძლებელი დაცული და განხორციელებული იქნეს კონსტიტუციით გათვალისწინებული, როგორც ადამინის ძირითადი უფლებები და მოვალეობები, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოთა სამუშაო პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 3 თავისა და 11 ქვეთავისაგან

თავი I. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ცნება, სახდელის სახეები

1.1 ადმინისტრაციული სამართალის პრინციპები.

მოცემულ თავში მინდა განვიხილო ის პრინციპები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. არსებობს ზოგადი და სპეციალური პრინციპები.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ასევე, ასევე დაკავშირებულია კანონის უზენაესობასთან.მე-18 საუკუნეში კანონის უზენაესობას ახსენებს ფილოსოფოსი იმანოელ კანტი.მისი აზრით სამოქალაქო სიმშვიდისათვის მნიშვნელოვანია სამი ელემენტის შესრულება.ეს არის: საზოგადოების თავისუფლება, თავისუფალი საზოგადოება, რომელიც ემორჩილება კანონს და თანასწორობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უკავშირდება სახელმწიფო ორგანოების ყველა სფეროს. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებები, წინასწარ განსაზღვროს, იმიტომ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოსთვის უმთავრესია ადამიანის უფლებების შეზღუდვა კანონიერებას არ გასცდეს.[3]

სამართლებრივი სახელმწიფოსთვის პრინციპის ჭრილში მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობისას კანოიერი ნდობის პრინციპი. კანონიერი ნდობის პრინციპის ცნების განმარტება არ არის მოცემული ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნდობის საფუძველი ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებაა.[4]

---

[3] იხ:*სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის უზენაესობა.* მოპოვებული https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-21[ბოლოს ნანახია 2020 წლის 21 სექტემბერს]

[4] იხ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270%23part_32?publication=8

1.2. დისპოზიციციურობის პრინციპი

ეს პრინციპი მხარეებს აძლევს არჩევანის უფლებას სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, დავის საგნის და საქმის მორიგეობით გადაწყვეტის საკითხის განსაზღვრა. ეს თემა მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში.ამ პრინციპის მთავარი სათქმელი ისაა რომ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეებს აქვთ მთავარი როლი, მოსარჩელე კი განსაზღვრავს დავის საგანს, მასვე შეუძლია მოთხოვნის წამოყენება დაშეცვლა.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე, ან პირიქით ცნოს სარჩელი, თუ რათქმაუნდა ეს საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. ანუ, თუ მორიგება კანონმდებლობის საწინააღმდეგოა, სასამართლო არ დაუშვებს მორიგებას. თუ მორიგებით საჯარო ინტერესები იზღუდება, სესაძლოა არ მოხდეს კარგად მოკვლევა გარემოებების.

3. შეჯიბრებითობის პრინციპი

შეჯიბრებითობის მთავარი აზრი ისაა, რომ მხარეებს თანაბარი უფლება-მოვალეობანი აქვთ, უარყონ ან დაასაბუთონ მოთხოვნები, მტკიცებულებები თუ მოსაზრებები. პრინციპი ეხება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს.

4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

ამ პრინციპის მიხედვით კანონის წინაშე თანასწორნი არიან ორ არათანაბარ საფეხურზე მდგომი სუბიექტები. იგულისხმება მოსარჩელისა და მოპასუხის თანასწორუფლებიანობა.

5. ინკვიზიციურობობის პრინციპი

ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოიპოვოს მტკიცებულებები,ჩართოს პროცესში მესამე პირი, დაავალოს და მისცეს მას მითითებები.

ინკვიზიცურობის პრინციპი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-4 მუხლშია გამოხატული ,,ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი

ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად“. ანუ, ეს პრინციპი საქმის სრულყოფილად გამოკვლევის გარანტია.

6. მოსამართლის მიერ პროცესის წარმართვის პრინციპი

ამ პრინციპის მიხედვით სასამართლოს ეკისრება პასუხისმგებლობა პროცესის სწორად წარმართვასთან დაკავშირებით. მოსამართლე ასევე ვალდებულია ფორმალური შეცდომების, მცდარი ან არასაკმარისი ინფორმაციის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორების.

7. სასამართლოს დამოუკიდებლობის ან მიუკერძოებლობის პრინციპი

ეს პრინციპი კონსტიტუციურია. ამ შემთხვევაში მოსამართლე ეყრდნობა კონსტიტუციას, კანონს და საკუთარ რწმენას.

8. ადმინისტრაციული პროცესის საქვეყნოობის პრინციპი

ამ პროცესის მიხედვით მოქალაქეებს საშუალება აქვთ აკონტროლონ პროცესი.[5]

1.3 ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ცნება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის თავი II მე-10 მუხლის თანახმად „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისებურებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვინაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათითმოქმედი კანონმდებლობის სესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახი ქმედება იქნება იმ შემთხვევაში, თუ მის ჩამდენს შეგნებულად აქვს განზრახული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მუხლი 11) ხოლო

[5] იხ:ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები. მოპოვებულია https://midorinw.wordpress.com/2017/04/18/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A/ [ბოლოს ნანახია 2020 წლის 28 სექტემბერს]

გაუფრთხილებლობით ჩადენად ჩაითვლება , თუ ჩამდენი არ ითვალისწინებდა მსგავსი შედეგების ჩადენას (მუხლი 12), ხოლო პასუხისმგებლობა ეკისრება თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირს (მუხლი 13) [6]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის მოქალაქე შეიძლება გააფრთხილონ, დააჯარიმონ, ჩამოართვან ობიექტი რის გამოც ჩაიდინა სამართალდარღვევა, დააკისრონ გამოსწორებელი სამუშაოები ან შეუფარდონ ადმინისტრაციული პატიმრობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შემამსუბუქებელი გარემოება იქნება გულწრფელი მონანიება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა აღელვების ფონზე, სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის, ორსულის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი.ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.[7]

მოგეხსენებათ 2020 წლის გაზაფხულზე საქართველოში საგანგებო მდგომარეობა დაწესდა, აქედან გამომდინარე საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე კანონში ცვლილებები შეიტანა.

2020 წლის 23 აპრილს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არის ცვლილება [8] დაემატა 42[10] მუხლი, რომლის თანახმად სამართალდარღვევად ჩაითვლება, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი

---

[6] იხ:საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი:10,11,12,13 [ბოლოს ნანახია 2020 წლის 2 ოქტომბერს]
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

[7] იხ:საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი. [ბოლოს ნანახია 2020 წლის 15 ოქტომბერს]
http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/saqartvelos-mtavrobis-mier-sakanonmdeblo-iniciativis-wesit-warmodgenili-saqartvelos-kanonis-proeqti-saqartvelos-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi-cvlilebis-shetanis-shesaxeb-tandartul-kanonproeqtebtan-ertad.page

[8] საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მიღების თარიღი:23.04.2020 ვებგვერდი:24.04.2020 ძალაში შევიდა:02.05.2020[ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 თებერვალს]
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4854219?publication=0

იზოლაციის ან/ და კარანტინის წესის დარღვევა“ .კონსტიტუცია მოითხოვს აკრძალული ქმედების შინაარსი და მისი დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა პარლამენტის მიერ იქნეს განსაზღვრული. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 42[10] მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის 248[11] მუხლით სამართალდარღვევად /დანაშაულად გამოცხადებულ აკრძალვის ნუსხა მოცემული არ არის დასახელებულ საკანონმდებლო აქტებში, აკრძალვის ნუსხას გავეცნობით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილებაში „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ და ამავე დადგენილების მე-3 მუხლით „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“.covid-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს, აქედან გამომდინარე ხელისუფლებას აქვს უფლებამოსილება, მიიღოს ნებისმიერი შეზღუდვა და ამ შეზღუდვაზე დაუმორჩილებლობას საქართველოს პარლამენტი აცხადებს სამართალდარღვევად/დანაშაულად.[9]

1.4 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, სამართალდარღვევის/გადაცდომის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს ქმედების სამართალდარღვევას და აწესებს სახდელს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება დემოკრატიულ სახელმწიფოში დაკავშირებულია კანონიერების და კანონის უზენაესობის პრინციპთან, მოგეხსენებათ

[9] იხ:ევროკავშირი საქართველოსთვის „covid-19 და პასუხისმგებლობის ზომები:კონსტიტუციურობის სისტემური პრობლემა“. [ბოლოს ნანახია 2020 წლის 3 ნოემბერს] მოპოვებულია:

https://idfi.ge/public/upload/EU/systemic_problem_of_constitutionality.pdf

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან.[10]

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მახასიათებლებია:

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციული იძულების ზომების ნაირსახეობას.
- რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, რომლებიც საერთო ჯამში წარმოადგენენ ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტს.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუზვლები განსაზღვრულია კანონქვემდებარე აქტებით.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფაქტობრივი საფუძველია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განხორციელდება სახდელის დადებიტ.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განხორციელებას ახდენს: სასამართლო, აღმასრულებელი ხელისუფლება და მათი თანამდებობის პირები.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ იწვევს სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უმეტესად დგება სასამართლოზე გვერდის ავლით;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები ხორციელდება გარკვეული საპროცესო წესით.[11]

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის მომენტისათვის თექვმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც ჩაიდინა

[10] (მართლმსაჯულება და კანონი, #1 (65) წელი2020 დავით ხობელია „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუზვლები და კონსტიტუციური პრინციპები“) http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf

[11] https://studfile.net/preview/4164389/page:5/#7(10.05.2019)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა მისი მოქმედება უკიდურესად აუცილებელი იყო, ანუ პირი ცდილობდა იმ საფრთხის აცდენას, რაც ემუქრებოდა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებს და თავისუფლებებს.თუ მოცემულ სიტუაციაში არ შეიძლებოდა საფრთხის აცდენა სხვა ქმედებით და მიყენებული ზიანი ნაკლებმნიშვნელოვანია ვიდრე აცდენილი ზიანი.[12]

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სახელმწიფოში დადგენილი რეგულაციების აღსრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, აქედან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 5 პასუხისმგებლობის ნორმა, რომელთაგან ერთი მუხლი პირბადის ტარების წესის დარღვევას მიემართება. გარდა ამისა „საქართველოს ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილ კარანტინის წესის დარღვევის შემთხვევაში, პირს ჯერ დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო იმავე ქმედების 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრრვევი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ევროკავშირი საქართველოსთვის „covid-19 და პასუხისმგებლობის ზომები: კონსტიტუციურობის სისტემური პრობლემა“.[13]

სახდელის სახეები

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონის დაცვის საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სულისკვეთებით აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ

[12] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

[13] ევროკავშირი საქართველოსთვის „COVID-19 და პასუხისმგებლობის ზომები:კონსტიტუციურობის სისტემური პრობლემა“[ბოლოს ნანახია 2021 წლის 10 იანვარს გვ.2-20] https://idfi.ge/public/upload/EU/systemic_problem_of_constitutionality.pdf

ახალი სამართალდარღვევის ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის აცილების მიზნთ.“ [14]

ადმინისტრაციული სახდელის სახეებია:

ა) გაფრთხილება

ბ) ჯარიმა

გ) ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ

დ) რეკვეზიცია

ე) ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა

ვ) იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა

ზ) გამასწორებელი სამუშაოები

თ) ადმინისტრაციული პატიმრობა

ი) უცხოელის გაძევება ქვეყნიდან

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 25-ე მუხლში წერია, რომ კონფისკაცია, გაფრთხილება, ჯარიმა, მართვის უფლების შეჩერება, გამასწორებელი სამუშაოები, გამოყენებულია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით. გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლებების ჩამორთმევა და ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება, როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. თუ პიროვნებას აქვს სახვადასხვა სამართალდარღვევა, ჩადენილი სახდელი დაეკისრება თითოეულისთვის ცალ-ცალკე. სახდელების შეკრება ან შთანთქმა დაუშვებელია. თუ დამნაშავემ მოიხადა სისხლის სამართლის სასჯელი, იგი თავისუფლდება ამინისტრაციული სახდელისგან.[15]

ადმინისტრაციული სახდელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა

[14] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

[15] მაკა სალხინაშვილი, ტარიელ ჭინჭარაული,გამომცემლობა„მერიდიანი“2010 წელი „ადმინისტრაციული სახდელები“

სამართალდარღვევა, ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, სემამსუბუქებელი და დამამზიმებელი გარეგზეებანი.შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება:

ა) ბრალეულის გულწრფელი მონანიება;

ბ) ზარალის ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება;

გ) სამართალდარღვევის ჩადენა აღელვების გავლენით, ან პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო;

დ) სამართალდამრღვევი არის არასრულწლოვანი;

ე) სამართალდამრღვევის ჩამდენი არის ორსული ან ერთ წლამდე ასაკის თავი [16]

[16] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

თავი 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის სტადიები

2.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესრიგებს საჯარო–სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესს. ის ასევე განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ცნებას და განსაზღვრავს კოდექსის მოქმედების სფეროს. სზაკ-ი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს. ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ქვეშ მოიაზრება ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

ზოგადი ადმნისტრაციული კოდექსით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების კონტროლისთვის არსებობს ადმინისტრაციულ სამართალადარღვევათა კოდექსი, რომლის მიზანს წარმოადგენს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებების და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმნისტრაციულ სამართლადარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. [17]

[17] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მუხლი 1
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ან უმოქმედობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. უფრო კონკრეტულად, სასკ-ის მე-10 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ის დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

როგორც ავღნიშნეთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მითითებულია, რომ, თუ დარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ის წარმოადგენს ადმნისტრაციულ სამართლადარღვევას, რომლის შესახებად შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთვევებში. ეს მუხლი ვრცელ ჩამონათვალს აკეთებს, როდესაც არ ხდება ადმინისტრაციული სამართლადდარვევის ოქმის შედგენა, მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ხდება სამართალდამრღვევის დაჯარიმება და მისთვის ჯარიმის გადახდევინება. თუმცა აქვე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს იმ გამონაკლისებსაც, როდესაც სამართალდაღვევის შემთხვევაში ხდება საჯარიმო ქვითრის გამოწერა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრავიულ სამართალდარღვევის ოქმს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისნმ 240-ე მუხლით განსაზღვრულია ის ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღევათა ოქმი და ესენია ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა - სახელი, მამის სახელი და გვარი; მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის - პირადი ნომერი და გასახადის

გადამხელის საიდენტიფიკაციო ნომერი; ადმნისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართლადარღვევისათვის; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არსებობენ, დამრღვევის ახსნა - განმარტება და საქმის გადაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ხელს აწერენ შემდგენი და სამართალდამრღვევი, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. როდესაც ადმნისტრაციული სამართალდარღვევი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი, მას უფლება აქვს წარმოადგინოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები ახსნა-განმარტებით და დაურთოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა ოქმს. ოქმის შედგენის შემდეგ ის დაუყონებლოვ ეგზავნება იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმნისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

თუ ადმინისტრაციული ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ ვერ ხერხდება მისი სამართალდარღვევის ადგილზე შედგენა, შესაძლებელია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელმა ან პოლიციის თანამშრომელმა დამრღვევი ოქმის შესადგენად დაიბაროს პოლიციაში.

2.2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში

ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა საქმეების წარმოების მიზანია, თითოეული საქმის გარემოებების დროული, ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამორკვევა და შეესაბამება თუ არა ეს კონკრეტული სამართალდარღვევა კანონმდებლობას. აგრეთვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების გამოვლენა, რათა შემდგომ მოხდეს დანაშულის თავიდან აცილება, კანონიერების განმტკიცება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა უფლებით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე გაწერილია

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. მას შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს; განაცხადოს შუამდგომლობა; წარადგინოს მტკიცებულებები; იყოლიოს ადვოკატი; გამოვიდეს მისთვის მისაღებ ენაზე და თუ საჭიროება აქვს ისარგებლობს თარჯიმნის მომსახურეობით და რაც მთავარია, გაასაჩივროს საქმეზე მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ისეთ გარემოებებს, როდესაც არ ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ან დაწყებული საქმის შეწყვეტა, თუ არსებობს შემდეგი გარემოება: არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი; თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევს ქმედების ჩადენის მომენტში არ შესრულებისა 16 წელი; თუ ქმედების ჩამდენი პირი შეურაცხია; თუ პირი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა; ამნისტიის აქტი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას; გაუქმდა აქტი, რომელიც აწესებდა პასუხისმგებლობას; პირი, რომლის მიმართაც აღძრული იყო საქმე, გარდაიცვალა; პირს არ ჩაბარებია საჯარიმო ქვითარი საურავის დარიცხვის შესახებ; როცა გასულია ადმინისტრაციული სახდელი ვადები; თუ არსებობს იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს რომელ სამართალდარღვევას, ეს ჩამონათვალი მრავალრიცხოვანია და იყოფა შემდგენაირად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებსაც განიხილავს შინაგან საქმეთა ორგანოები; მუნიციპალიტეტის ორგანოები; რკინიგზის ტრანსპორტის ორგანოები; საზღვაო სატრანსპორტო ორგაონები; საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქოავიაციის სააგენტო; საავტომობილო ტრანსპორტს და ელექტროტრანსპორტის ორგანონიები; შრომის სახელმწიფო ინსექტორები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანოები; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები; სანიტარულ ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები; გარემოსდაცვითიზედამხედველობის დეპარტამენტი და დაცული

ტერიტორიების სააგენტო; იუსტიციის სამინისტროს ორგანოები; სურსათის ეროვნული სააგენტო; კომუნიკაციების ეროვნული კომისია; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები; ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები. ამ ვრცელი ჩამონათვალის საფუძველზე ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შესაბამისი განსჯადი ორგანოს მიერ საქმის განხილვა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 260-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განსახილველად, ადმინისტრაციული ორგანო ან თანამდებობის პირი წყვეტს შემდეგ საკითხებს:

- განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას აღნიშნული საქმე;
- სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი
- ეცნობათ თუ არა საქმის განხილვის მონაწილე პირებს საქმის განხილვის დრო და ადგილი;
- გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;
- უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა ადმინისტაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირის, დაზარალებულის, კანონიერი წარმომადგენლების, ადვოკატის შუამდგომლობა;

საქართველოში ადამიანის კონსტიტუციურად განმტკიცებული უფლებების დაცვა უმთავრესია. კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავეენ კანონის წინაშე თანასწორობის საწყისებზე დაყრდნობით. ყველა ადამინია სამართლის წინაშე თანასწორია, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესისი, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოცლიარუ კუთვნილების, ქონებრვი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.[18] ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა

[18] საქართველოს კონსტიტუცია
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

განხილვაც, ეს იქნება ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ სასამართლოში, დაფუძნებულია ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეთა განხილვა ხდება მისი ჩადენის ადგილას, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა - სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევა; შესყიდვების განხორციელების წესის დარღვევა, ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილება, სააგენტოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა, კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება, ზემოთ ჩამოვლილი ხუთი გამონაკლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა საქმის განხილვა ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამავე კოდექსი განსაზღვრავს ჩამონათვალს იმ სამართლადარღვევებისა, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვეათა განხილვა შეიძლება დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ესენია: ამავე კოდექსის 116- 125-ე მუხლებით გათვალისწინებული ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების მართვისას წარმოშობილ სამართალდარღვევებთან, აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმა ,ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით. საქმის წარმოებისას შესაძლებელია საქმე განიხილოს მისი ჩადენის ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეიძლება განიხილონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ მათ სამსახურეობრივ ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში, სამართალდამრღვევისათვის დადგენილი წესით საქმის განხილვის ადგილისა და დროის წინასწარ შეტყობინების საფუძველზე.[19]

[19] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი N261. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აწესებს ვადებს სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისთვის, სასკ-ის 262 მუხლის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში, ხოლო ამავე მუხლის პირველი პრიმა და მეორე ნაწილი აკეთებს ჩამონათვალს, რომლითაც განხილვის ვადა შეიძლება განისაზღვროს: დაუყონებლივ, 3 ან 7 დღის ვადით; ან საკანონმდებლო აქტით სხვა განხილვის ვადა.

როგორც არერთხელ ავღნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართლადარღვევათა კოდექსი გამოირჩევა თავისი ინდივიდუალური მიდგომით თითოეულ სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, ამას მოწმობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262 მუხლიც, სადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისთვისთვის სხვადასხვა ვადები არის დადგენილი. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მისი მოხმარების, ასევე მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, მოხმარების ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა ხდება 3 დღის ვადაში. ასევე, იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების, როგორიცაა - წვრილმანი ხულიგნობის და სამართალდამცავი ორგანოს იმ თანამშრომლების დაუმორჩილებლობა, რომელიც ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 173 მუხლში განიხილება 3 დღის ვადაში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილველი სასამართლო, თუ პირის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გამოყენებულია ადმინისტრაციული დაკავება და ამოწურულია არ არის ადმინუსტრაციული დაკავენის ვადა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებისთანავე, დაუყონებლივ იწყებს ზეპირ განხილვას.

262 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასევე 3 დღის ვადაში განიხილება საქმეები: რადიოგადაცემ მოწყობილობათა უნებართვოდ დამზადება და გამოყენება; გარე - ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სასურსათო და ასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა; შეკრების და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა; შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახრეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, როგორიცაა საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმა ან ადამიანის ღირსების და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, ასევე ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესის დარღვევა განიხილება ერთ დღე-ღამის ვადაში.

შედარებით უფრო მეტი - 7 დღიანი განხილვის ვადა აქვს ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომელთა ზუსტი ჩამონათვალი არის ასკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილში, მაგალითად; საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის დანაშაულთა მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისაგან თავის არიდება; დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არამიზნობრივი გამოყენება; სახელმწიფო არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა; სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებურად შეცვლა; არასრულწლოვანის დათრობა; თვითნებობა; ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები მოგეხსენებათ საკმაოდ ხშირად განხილვადი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებია, რომლებლეზეც სწრაფი და დროული რეაგირება მნიშვნელოვანი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის და ამას ითვალისწინებს კიდეც ადმინისტრაციული სამართლადარღვევათა კოდექსი. თუმცა, აქ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ მოცემული ვადები საკმადო მცირე დროს წარმოადგენს პანდემიის პირობებში.

უფრო კონკრეტულად კი ვგიულიხმობ იმ სირთულეებს, როდესაც მოცემული ეპიდემიოლოგიური ვითარების დროს, ადმინისტრაციული ორგანოები, სასამართლოები გადასული არიან მუშაობის ახალ, დისტანციურ მოდელზე. ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისთვის უნდა მოხდეს რამდენიმე მხარის ჩართვა, მაგალითად, ადმინისტრაციული ორგნაო, სამართალდამრღვევი, ადვოკატი. შესაძლებელია ვერ მოხდეს დროულად სამართალდამრღვევის მოძიება, შემდეგ მისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ქონა, როგორიც შეიძლება იყოს ელექტრონული ფოსტა და სხვადასხვა პროგრამების ქონა/ცოდნა, რომლის გარეშეც ვერ მოხერხდება დისტანციური სხდომის წარმართვა. ასევე თუნდაც ადვოკატის დროული ჩართვა და ეს ყველაფერი ერთად აღებული კი სხდომის ჩაშლის საფუძველი ხდება. სხდომის ჩაშლის და მისი გადადება კი მარტივად აისახება ვადების დარღვევასთან, რადგან როგორც ავღნიშნეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიგი საქმეების განხილვისთვის საკმადო ცოტა დროს ითვალისწინებს კანონი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა დაიწყება, როცა კოლეგიური ორგანო გამოაცხადებს შემადგენლობას ან აღნიშნული საქმის განმხილველი თანამდებობის პირის მიერ წარდგენით. კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე ან თანამდებობის პირი წყვეტს შემდეგ საკითხებს და აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული პასუხისმგებლობაში, ექვემდებარება თუ არა ქმედება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არსებობს თუ არა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, გამოწვეულია თუ არა ქმედების შედეგად მატერიალური ზიანი და ა.შ. საქმის განხილვისას დგება კოლეგიური სხდომის ოქმი, სადაც აღინიშნება: სხდომის თარიღი და ადგილი; განმხილველი ორგანოს დასახელება და შემადგენლობა; საქმის შინაარსი; მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ; მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები; გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები და გასაჩივრების წესი და ვადები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ დადგენილება გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს და შეიძლება იყოს:

- სახდელის დადების შესახებ;

- საქმისწარმოების შეწყვეტი შესახებ
- საურავის დარიცხვის შესახებ
- ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლი შესახებ;

რომელებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: გამომტანი ორგანოს დასახელება; განხილვის თარიღი; მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართად განიხილება საქმე; დადგენილ გარემოებათა გამოცემას; ნორმაქტიული აქტის მითითება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული დარღვევისთვის; გადაწყვეტილებას. მიღებული დადგენილება ცხადდება, დაუყონებლივ, საქმის განხილვის დასრულებისთანავე და 3 დღის ვადაში ბარდება პირს, რომლის მიმართაც გამოვიდა დადგენილება და დაზარალებულს, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა იქნება, თუ ამ კოდექსით სხვა რამე არ არის დადგენილი.

2.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა სასამართლოში

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რომელი საქმე შეიძლება იქნეს განსჯადი სასამართლოს მიერ, ის ასევე აკონკრეტებს, რომ სასამართლო გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. [20] სწორედ ეს ჩანაწერი მიგვანიშნებს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი თავდაპირველად (თუ კანონით სხვა მოთხოვნა არ არსებობს) ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადი წარდგენით გასაჩივრებული

[20] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

უნდა იყოს ადმინისტრაციულ ორგანოში, რაც ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლს და სასამართლოების განტვირთვას.

ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, ე.ი. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია მხოლოდ დაინტერესებული მხარის ინიციატივა, მის მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი საჩივარი.

ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა საქართველოში საფუძველი დაუდო ადმინისტრაციულ სამართლაწარმოებას და რაც მთავარია ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონსტროლის განხორციელებას. ამ პროცესში ფუნდამენტური როლი მიეკუთვნება ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. თუ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობოსას დარღვეული იქნა ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ დამოუკიდებელ სასამართლოს. ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმიანობა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა კი შესაძლებლობა მისცა თითოეულ მოქალაქეს, სარჩელით მიმართოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს, თუ ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ მათი უფლებების დარღვევის ფაქტები იქნება გამოვლენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა ადმინისტრაციული საჩივრი წარდგენილი იქნება განსჯად სასამართლოში. ადმინისტრაციული სარჩელი წარედგინება იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ეს საქმე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის რაიონულ (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეებისა, რომლებიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში არის გაწერილი. თუმცა რაიონული სასამართლოს მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს ის ადმინისტრაციული საქმეები, რომლებიც განსჯადია მაგისტრი მოსამართლის, თუ მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ დაინიშნა მაგისტრი მოსამართლე. მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებს წარმოადგენს სწორედ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საქმეების განხილვა, მისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე; აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე შესაბამისი ოქმის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი.

ადმინისტრაციულ პროცესში ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის ადმინისტრაციული ორგანო - სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა და მათ სასამართლოში კანონიერი წარმომადგენელი წარმოადგენს. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით ეს ადამიანი შეიძლება იყოს მინისტრი, საკრებულოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციული ორგანოს იურისტი და ა.შ. ასევე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია სასამართლოში საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი, ადვოკატი ან იურისტი, რომელთან უფლებამოსილება კანონით ან ნორმატიული აქტით აქვთ მინიჭებული.

მას შემდგეგ, რაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, ბრძანებას, განჩინებას თუ დადგენილებს, სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი ავალდებულებს სასამართლოს, გამოტანილი გადაწყვეტილების მახარეთათვის გადაცემას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ძირითად შემთხვევაში ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვას და ამის შემდგომ სასამართლო წესით მის განხილვას. სასკ-ის 208 მუხლი აკეთებს მრავალრიცხოვან ჩამონათვალს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისა, რომელთაც განიხილავს რაინული (საქალაქო) სასამართლო. რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე შემდგომ შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში.

2.4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი და ინდივიდუალური მიდგომით და ეს ეხება როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილების გასაჩივრებას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს დაზარალებულის, პირის მიერ, რომელის მიმართაც გამოვიდა დადგენილება და ასავე ადმინისტრაციული სამართლადარღვევის ოქმის შემდგენის მიერ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისთავის შესაბამისი დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.[21] თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჩივარი შეიტანაება იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოსცა დადგენილება და 3 დღის ვადაში გადაეგზავნაება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილელად.

სასკ-ის 272 მუხლი მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს: ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება სახდელის დადების შესახებ; გადაწყვეტილება სხვაგვარი სახდელი დადების შესახებ; ძირითადი ადმინისტრაციული სახდელისა და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ; ზემოთ ჩამოთვლილ შემთვევაში შესაძლებელია თითოეული დადგენილების გასაჩივრება, ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან ზემდგომ უფლებამოსილ თანამდებობის პირთან, შემდეგ კი სასამართლოში. მაგრამ ეს არ არის სრული ჩამონათვალი, ეს მუხლი აგრძელებს კონკრეტული მაგალითების განხილავს, თუ როგორ შეიძება დადგენილების

[21] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 273 https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

გასაჩივრება. მაგალითად, შინაგან საქმეთა ორგანოს დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ, ჯერ საჩივრდება ზემოდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდეგ სასამართლოში, მაგრამ იგივე ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება - გაფრთხილების სახით ადმნისტრაციული სახდელის სახით, რომელზე არ არის შედგენილი ოქმი და დაფიქსირებული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე შესაძლებელია გასაჩივრებული იქნეს მხოლოდ ზემდგომა ადმინისტრაციულ ორგანოში ან უფლებამოსილ თანამდებობის პირთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების შემდეგ, როგორც ავღნიშნეთ რიგ შემგთხვევებში შესაძლებელია დადგენილების გასაჩივრება სასამართლოშიც, მაგრამ როცა დადგენილება მიღებული აქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს დადგენილებაზე, შესაძლებელია ის სააპელაციო წესით გასაჩივრდეს. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს მის დასაშვებობას 10 დღის ვადაში, ხოლო დასაშვებობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი შემდეგი წინაპირობის არსებობა და ესენია:

- არ არსებობს იდენტურ დავაზე სააპელაციო სასამრთლოს პრქატიკა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება უკვე არსებული სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან;
- ამ საჩივრის მიღებით სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

სააპელაციო სასამართლო ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლო დადგენილების სამართლებრივ შეფასებას, გამოყენებული იქნა თუ არა მის მიერ შესაბამისი კანონი, რამდენად სწორად განმარტა ის. სააპელაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არ შეისწავლის. სააპელაციო საჩივარი რაიონული სასამართლოს დადგენილებაზე განიხილება ერთი თვის ვადაში. საქმის განხილვა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა ადმინისტრაციული პატიმრობის საქმეებისა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[22]

ადმინისტრაციული დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების გამო ორგანოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: დადგენიების უცველილი დატოვება; დადგენილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვა; დადგენილების გაუქმება და საქმის შეწყვეტა; პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება; სახდელის ზომის შეცვლა; არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული დადგენილების გაუქმება და უფლებამოსილი ორგანოსთვის საქმისგადაგზავნა. ზემოთ ჩამოვლილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება მხარეს გაეგზავნება 7 დღის ვადაში, ასევე შეიძლება გაეგზავნოს დაზარალებულს თუ არის მის მიერ მოთხოვნილი.

გამომდინარე იქედან, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევაზე განხვიხილოთ მისი ერთ-ერთი სახდელის სახე - ადმინისტრაციული პატიმრობა, რომელიც შეიძლბა გამოყენებული იქნეს, როგორც მხოლოდ ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. პირის ადმინისტრაციული პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე და პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის უფლებამოსილ პირსაც, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

როგორც ავღნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევ პირს თუ შეეფარდება ადმინისტრაციული პატიმრობა, ეს ნიშნასვს რომ დადგენილება გამოტანილი იქნა არა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არამედ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ და შესაბამისად ამ დადგენილების გასაჩივრება ხდება ზემდგომ - სააპელაციო სასამართლოში, ერთჯერადად. ადმინისტრაციულ პატიმრობის დადგენილების გასაჩივრების უფლება აქვს, პირს

[22] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 276
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

რომელსაც შეეფარდა პატიმრობა ან მის კანონიერ წარმოამადგენელს, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ ორგანოს ან შესაბამის თანამდებობის პირს. მხარეს საჩივარი შეაქვს დადგენილების გამომტან სასამართლოში, რომელიც დაუყონებლივ უგზავნის მას განსჯად სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო 24 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს და აკმაყოფილებს თუ არა ის შემდგე მოთხვონებს: რა მოთხოვნები დაირღვა; რით გამოიხატება დადგენილების მცდარობა; რომელი მტკიცებულებები არ იქნა გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ; მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები; ახალი გარემოებიბის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლო საჩივარს დასაშვებად ცნობს დადგენილებით და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საჩივარს განიხილავს დადგენილების გამოტანიდა 48 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილებით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითად მნიშვნელოვნად თვლის, სიტყვა მისცეს მხარეებს და აგრეთვე წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. აგრეთვე ის ერთგვარ კონტროლს უწევს რაიონულ სასამართლოს და ამოწმებს დაიცვა თუ არა მან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება საბოლოოა, არ საჩივრდება და ის შეიძლება იყოს: გასაჩივრებული დადგენილების ძალაში დატოვების და საჩივრის საკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გასაჩივრებული დადგენილების გაუქმების (შეცვლის) და საჩივრის სრულად (ნაწილობრივ) დაკმაყოფილების შესახებ.[23]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, კონსტიტურ პრინცეპებზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას, სამართალდარღვევის საქმე გასაჩივრებული იყოს როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში და თავიდან იქნას აცილებული არაობიექტური, უკანონო სანქციის გამოყენება ადმინისტაციული ორგანოს მხრიდან. თავის მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოსაც ენიჭება უფლება კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით უზრუნველყოს დადგენილების

[23] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 281[3]
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473

აღსრულება, სწორედ ეს ყველაფერია ქვეყნის უზენაესი კანონის, სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური საწყისები.

თავი 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა განხილვა დისტანციურად ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებში

3.1 დისტანციური სხდომების გამომწვევი მიზეზები

ყველაფერი დაიწყო 2019 წლის დეკემბრის ბოლოს, ჩინეთის ქალაქ უხანში, სადაც დაფიქსირდა კორონა ვირუსი, რომელსაც კორონას ახალი შტამი covid-19 ეწოდა.ვირუსი საკმაოდ მზადრი ტემპით გავრცელდა არა მარტო ქვეყანაში არამედ ევროპაში, აქედან გამომდინარე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, ვირუსმა 6 თვის განმავლობაში მსოფლიოს 213 ქვეყანა მოიცვა, ხოლო 2020 წლის 21 ივლისის მონაცემებით მსოფლიოში 14 774 887 ადამიანია დაინფიცირებული, ხოლო 611 5999 გარდაცვლილი. შესაბამისად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ეპიდემია პანდემიად გამოაცხადა. ქვეყნებს მოუწოდა საყოველთაო კარანტინის „lockdown"-ის გამოცხადების შესახებ. ქვეყანაში შეწყდა ფრენები, დაიხურა საჯარო დაწესებულებები, სკოლები, კერძო სექტორი, ადმინისტრაციული ორგანოები. [24]

არსებული პრობლემები, რომლებიც გამოიწვია პანდემიამ მთელ მსოფლიოში, რათქმაუნდა საქართველოც მოიცვა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-7 მუხლით - „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები შესაძლებელია გაიმართოს დისტაციურად, კომუნიკაციების ელექტრონული საშუალებებების გამოყენებით“. ეს რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების განხილვას, ხოლო, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ

[24] https://stopcov.ge/ [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 დეკემბერს]

სამართალდარღვევათა განხილვის შესახებ აღნიშნულ დეკრეტში მითითება არ ყოფილა გაკეთებული.[25]

პანდემიამ შეუძლებელი გახადა ცხოვრების ჩვეულებრივი წესით გაგრძელება. საფრთხემ, რომელსაც ვერ ვხედავთ, წარმოშვა შიში ადამიანებში კომუნიკაციის, გადაადგილების. საჭირო გახდა გამოსავლის პოვნა. ხელისუფლებამ ვირუსის გავრცელების საფრთხისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მოსალოდნელი რისკების შემცირების მიზნით ახალი რეგულაციები დააწესა. ჩვეულ რეჟიმში სხდომების გაგრძელება ზრდიდა ვირუსის გავრცელების რისკს, ხელისუფლებას ერთის მხრივ უნდა აეცილებინა ვირუსის გავრცელება და მეორეს მხრივ უნდა ეზრუნა ქვეყნის ფუნქციონირებაზე, ამ ყველაფერმა მრავალი ტექნიკური და სხვა სახის პრობლემები წარმოშვა. დისტანცირი წესით სამართალწარმოების გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა მისი დახვეწა და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ქვეყანამ პანდემიის საწყის ეტაპზევე დროულად მოახერხა სააფრთხის თავიდან აცილება და მონახა ალტერნატივა სამართალწარმოების, რაც დადებითად შესაფასებელია, თუმცა ტექნიკური ხარვეზები მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დაფიქსირდა არაერთი ხარვეზი, რომელიც საფრთხეს უქმნის ხარისხიან და ეფექტურ მართლმსაჯულებას.[26]

დისტანციურმა სხდომებმა, ერთის მხრივ, უზრუნველყო მართლმსაჯულების განხორციელება გადაუდებელ საქმეებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, შექმნა მხარეთა უფლებების დარღვევისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესების საფრთხე.დისტანციური სხდომების გამოყენებამ წარმოშვა მართლმსაჯულებაში

[25]იხ:საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი[ბოლოს ნანახია 2021წლის 12თებერვალს] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?fbclid=IwAR0u00XdE6SwoUXIT-nRSBoZ7F09y6tu5TirOeZ_7s4iv14V6GyjrmFez10&publication=0

[26] იხ: სასამართლო პანდემიის დროს[ბოლოს ნანახია 2020 წლის 15 იანვარს] http://ewmi-prolog.org/images/files/4294withcover.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1.pdf

ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რაც სასურველია პანდემიის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს.

3.2. დისტანციურ სხდომებზე დასწრების პრობლემები, ტექნიკური ხარვეზები, სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლა და გადადება

დისტანციურად სხდომების წარმართვა Lockdown-ის გამოცხადებიდან რამდენიმე ხანში დაიწყო, ეს არ ეხემოდა მხოლოდ ერთ სფეროს, სამართალწარმოების ფორმატის შეცვლა საჭირო გახდა სახელმწიფო ინსტიტუტების თითქმის ყველა მიმართულებით, შესაბამისად წარმოიშვა რიგი პრობლემებისა.

საიას მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა კვლევა და გამოაქვეყნა ანგარიში, რომელმაც აჩვენა, რომ დისტანციური ჩართვების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, ხმისა და გამოსახულების დაბალი ხარისხი, რომლებიც ხშირად სხდომების დაგვიანებით დაწყების და გადადების მიზეზი იყო. ასევე ვიდეო ჩანაწერის გამოკვლევისას ჩანაწერი არ იყო მხარეებისთვის აღქმადი. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საკითხი, რომ ეს კვლევა ეხებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგს. ანგარიშში ასახულია უშუალოს სხდომაზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია და ის მოიცავს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო, თელავის და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებს. ჩვენი განხილვის საგანს რათქმაუნდა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა დისტანციურ რეჟიმში, მაგრამ ,აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვაზე არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ამ მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი დასკვნის გაკეთებაც, თუ რამ მდგომარეობაა, არამარტო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეთა დისტანციურ რეჟიმში განხილვისას, არამედ სისხლის სამართლის პროცისშიც. როგორც საიას ანგარიშშია ნათქვამი, საერთო სასამართლოების მიერ სხდომების დისტანციური წესით წარმართვამ, სხვა პრობლემებთან ერთად თავდაპირველად წარმოშვა პროცესის განხილვაზე დასწრების შესაძლებლობა. აგრეთვე, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, წინასასამართლო სხდომის ჩატარების შედეგები. მაგალითად, საიას მონიტორები ესწრებოდნენ 54 წინასასამართლო სხდომას 57

ბრალდებულის მიმართ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროცესი მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმათა სრული დაცვით. თუმცა ,ორი განსხვავებული საქმე იქნა აღნიშნული, როცა ბრალდებულებს არ ჰყავდათ ადვოკატები და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი გაუაზრებლად დეთანხმნენ მოსამართლის კითხვას მტკიცებულებათა უდავოდ ცნობასთან დაკავშირებით.

ეს მცირე ჩანაწერი იძლევა მსჯელობის და ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია, მსგავსი დარღვევა - ადამიანის უფლებათა დარღვევა, დაფიქსირებულიყო ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვისასაც. ჩვენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვისას ზემოთ ავღნიშნეთ, თუ რაოდენ უპირატეს მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ადმინისტრაციული ორგანო საქმეთა განხილვისას და როგორ „მარტივად“ შეიძლება იქნეს დარღვეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები. როგორც ავღნიშნეთ, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა არ წარმოადგენს ამ თემის განხილვის საგანს, მიუხედავად ამისა, საიას ანგარიშის მცირე დეტალით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ზოგად ფონზე, რაც შექმნა „COVID“ პანდემიამ ქვეყანაში.

დისტანციური სამართლწარმოება მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მსოფლიოსთვის. გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ორი სახისაა: გამოსწორებადი და სიღრმისეული (იმამენტური). მთავარი პრობლემას წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის, უმეტესად კი რეგიონებში მცხოვრები პირთა საინფორმაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რაც უფრო ართულებს მათ ჩართვას დისტანციურ სხდომებში და იწვევს მთელ რიგ პრობლემებს. პრობლემაა ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნის მიმართ დამოკიდებულება, კერძოდ, მოქალაქეთა დიდი ნაწილი არ მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და ეწინააღმდეგება ელექტრონული მართლმსაჯულების ნებისმიერ ფორმას. დისტანციური სხდომებისათვის ტექნიკური პირობების არარსებობა, მონაწილეთა უნარ-ჩვევების ნაკლებობა და სამართლებრივი რეგულაციის ხარვეზები გამოსწორებადია, მაგრამ არის პრობლემები, რომლებიც მხოლოდ სხდომების სასამართლო დარბაზში დაბრუნებით გამოსწორდება, მაგალითად, არსებობს რისკი, რომ სასამართლო სხდომას დაესწროს

არაუფლებამოსილი პირი, ანუ ლინკი მოიპოვოს ჰაკერული გზით ან კიდევ ვიდეო-აუდიო ჩანაწერი მოხვდეს საჯარო სივრცეში.

დისტანციური სასამართლო პროცესები შეფასდა შემდეგნაირად:

- აუდიო-ვიდეო კომუნიკაციის ხარისხი;
- ელექტრონული პროცესების გავლენა სამართალწარმოების სისწრაფეზე, ხარჯებსა და ხარისხზე;
- დისტანციური ჩართვის დროს მხარეთა უფლებების უზრუნველყოფა
- დისანციური სხდომის ტექნიკური, სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტი.[27]

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩავატარე კვლევა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების თანახმად, დისტანციურად ჩატარებული სხდომების შესახებ თბილისის, გორის მერიიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვე შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. დისტანციურად სხდომის წარმართვის მიზეზები;
2. 2020 წელს რამდენი საჯარო სხდომა ჩატარდა დისტანციურად.
3. რა ტიპის პრობლემები წარმოიშვა საჯარო სხდომების დისტანციურად საქმის განხილვისას.
4. ტექნიკური ხარვეზების გამო გადადებულ საქმეთა რაოდენობა.
5. რამდენ შემთხვევაში ჩატარდა სხდომა და რამდენ შემთხვევაში მოხდა მისი გადადება.
6. რომელი პლატფორმის (zoom, Webex, Team, Google და ა.შ) გამოყენებით ხდება დისტანციურად საჯარო სხდომების ჩატარება.

ხოლო კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიის კი მოვთხოვე მოეწოდებინა:

[27] იხ: ელექტრნული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს [ბოლოს ნანახია 2020 წლის 15 იანვარს]
http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf

1. დისტანციურად სხდომის წარმართვის მიზეზები და რომელი პლატფორმის მეშვეობით ((zoom, Webex, Team, Google და ა.შ) წარმართავთ სხდომებს;
2. 2020 წელს რამდენი საჯარო სხდომა ჩატარდა დისტანციურად;
3. თქვენს მიერ რეგულირებული საწარმოები იხილავენ თუ არა დისტანციურად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს (სს ,,თელასი“, ,,შპს ,,თბილისი ენერჯი“, შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს ,,ბათუმის წყალი“) და რომელი პლატფორმის მეშვეობით ((zoom, Webex, Team, Google და ა.შ);
4. თქვენს მიერ რეგულირებულ საწარმოებს (სს ,,თელასი“, ,,შპს ,,თბილისი ენერჯი“, შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს ,,ბათუმის წყალი“) რა ტიპის პრობლემები წარმოიშვათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის განხილვისას;
5. თქვენს მიერ რეგულირებულ საწარმოებს (სს ,,თელასი“, ,,შპს ,,თბილისი ენერჯი“, შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს ,,ბათუმის წყალი“) შეექმნათ თუ არა ტექნიკური პრობლემები საქმეთა განხილვისას და რამდენი იყო ასეთი საქმე;
6. თქვენს მიერ რეგულირებულ საწარმოებს (სს ,,თელასი“, ,,შპს ,,თბილისი ენერჯი“, შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“, შპს ,,ბათუმის წყალი“) რამდენი ადმინისტრაციული საქმე აქვთ განხილული და რამდენი გასაჩივრდა სემეკში;
7. სემეკის მიერ თუ არის მიღებული რაიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს დისტანციურად საქმეთა განხილვის წესს.

   პასუხი მივიღე შემდეგი ორგანოებიდან:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ მოგვწერა, თბილისის მერიაში გაგზავნილი განცხადების პასუხად, რომ სააგენტოს შესაბამის უფლებამოილ სამსახურში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ზეპირი მოსმენის სხდომები დისტანციურად არ ტარდება და ამასთან აღნიშნეს, რომ სააგენტოს მიერ დღეს

მდგომარეობით არ არის მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებს ზეპირი მოსმენის სხდომების დისტანციურად ჩატარების წესს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა თავის კომპეტენციის ფარგლებში განიხილა განცხადება და გვატყობინებს, რომ ზეპირი მოსმენის სხდომები დისტანციურად არ ჩაუტარებია, თუმცა გვაცნობეს, რომ სამსახური, როგორც მხარე, დისტანციურად ერთვება სასამართლოს, აგრეთვე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამართულ სხდომებში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულმა კომისიამ წერილის პასუხად მოგვაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო, კომისიის თავმჯდომარემ 2020 წლის 12 მარტს გამოსცა N186 ბრძანება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ და კომისიის შენობაში შეიზღუდა გარეშე პირთა, მოქალაქეთა დაშვება, ხოლო საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით, სხვადასხვა ოდენობებით შეიზღუდა ფიზიკურ პირთა თავშეყრა. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, ასევე კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და სხდომის მონაწილეთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, 2020 წლის 12 მარტიდან კომისიის საჯარო სხდომები ტარდება დისტანციურად, სპეციალური პროგრამა WEBEX-ის საშუალებით;
2. 2020 წლის განმავლობაში დისტანციურად ჩატარდა კომისიის 58 სხდომა;
3. ზემოთ წარმოდგენილი წერილის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას კომისიის მიერ რეგულირებადი საწარმოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის დისტანციურად განხილვისა და ამ განხილვისას ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შესახებ კომისია არ ფლობს (ვინაიდან კანონმდებლობა არ ადგენს ამ ინფორმაციაზე რაიმე ანგარიშგების წარდგენას), რის გამოც ვერ მოგვაწოდებდნენ ამ ინფორმაციას.
4. რაც შეეხება წერილის მე-6 პუნქტს, გვაცნობეს, რომ კომისიისთვის უცნობია დასახელებული საწარმოს მიერ გახილულ ადმინისტრაციულ საქმეთა

რაოდენობა. ამავე დროს, კომისიაში არსებული ინფორმაციის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის თაობაზე საწარმოების მიერ მიღებულ დადგენილებებზე კომისიაში შესულია სს „თელასის“ მიმართ 4 საჩივარი, შპს „თბილისი ენერჯის“ მიმართ 41 საჩივარი, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ 11 საჩივარი და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიმართ 39 საჩივარი, ხოლო შპს „ბათუმისწყლის“ მიმართ საჩივარი არ შემოსულა.

5. დისტანციურად საქმეთა განხილვის წესის რეგულირების შესახებ კომისიის მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ გამოუცია.

გამოთხოვილი ინფრომაციის საფუძველზე, საკმაოდ რთულია დასკვნის გაკეთება, რადგანაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან და მათი სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფორმაცია, მაგრამ ამ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა რიგ შემთხვევაში არანაირი რეაგირება არ მოახდინეს, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში გქვას ჩამონათვალზე არასრული ინფორმაცია, რადგანაც, როგორც თვითონ იუწყებიან, მსგავს სტატისტიკას არ აწარმოებენ. ამიტომაც ძალიან რთულია ვისაუბროთ, დღეს, საქართველოში, როგორ ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვა დისტანციურ რეჟიმში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პასუხის მიხედვით მათ არ ჩაუტარებიათ არცერთი დისტანციური სხდომა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე და არ არის მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებს ზეპირი მოსმენის სხდომის დისტანციურად ჩატარების წესს, რაც ჩემი აზრით, ერთ-ერთ იმ პრობლემად უნდა ავსახოთ, რაც ხელს უშლის დისტანციური წესით ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა განხილვას.

ასევე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ინფორმაცია მოგვაწოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, რომელმაც აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჩაუტარებიათ არცერთი დისტანციური სხდომა, თუმცა, როგორც მხარეები აქტირად ღებულობენ მონაწილეობას სასამართლო სხდომებში, რაც წინა

შემთხვევისგან განსხვავებით უფრო პოზიტიურ შემთხვევას წარმოადგენს, რადგანაც მათ აქვთ დისტანციურ სხდომაში მონაწილეობის გამოცდილება.

ინფორმაცია 17 დეკემბერს გამოვითხოვე თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან, გორის რაიონული სასამართლოსაგან, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან, მათგან არანაირი პასუხი არ მიმიღია.

ყველაზე სრულყოფილი პასუხი წარმოდგენილი აქვთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალომომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომლებაც 2020 წლის პანდემიის პირობებში 58 დისტანციური სხდომა ჩაატარეს, მაგრამ არ აქვთ ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენი სხდომა ჩატარდა დარღვევების გამოვლენის გარეშე, ან რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე, კვლავ ძნელია კონკრეტული, მკაფიო დასკვნის გამოტანა, თუ როგორ ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვა და რა პრობლემები აღმოცენდა პანდემიის გამო.

როგორც ზემოთ ერთხელ უკვე ავღნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო განხილვა ჩვენს განხილვის საგანს არ წარმოადგენს, მცირე ინფორმაციის გათვალისწინებით, ისევ მაგალითისთვის გამოვიყენებთ პანდემიის პირობებში ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის შეფასების ანგარიშს, სადაც პრობლემებს შორის პირველ რიგში მოყვანილია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის, განსაკუთრებით კი რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებიის მხრიდან არასაკმარისი ტექნოლოგიური აღჭურვა და შესაბამისი ცოდნა. აგრევე, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებები ტექნოლოგიური საკითხების მიმართ.

ტექნიკურ პრობლემებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დისტანციური სხდომების დროს ხმისა და გამოსახულების დაბალი ხარისხი, სასამართლოშია აღჭურვილი დარბაზების არასაკმარისი რაოდენობა, ასევე საპატიმრო დაწესებულებებში ვიდეო დარბაზების სიმცირე, სხდომის მიმდინარეობისას ბრალდებულსა და ადვოკატს შორის დაცული კომუნიკაციის შეუძლებოლობა.[28]

[28]იხ:ელექტრნული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს [ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 თებერვალს]გვერდი 19 http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf

მცირე შეფასებისთვის შეგვიძლია ევროპის საბჭოს პრაქტიკაც განვიხილოთ, რადგანაც ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება 2020 წლის კოვიდ პანდემიის დროს, არამარტო საქართველოსთვის აღმოჩნდა დიდ გამოწვევად, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPE) შეიმუშა დეკლარაცია „მართლმასაჯულების სისტემის გამოცდილებები და გამომწვევები პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდგომ“ კომისია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უმოკლეს დროში მიიღონს ზომები, რომლის დახმარებითაც პანდემიის პირობებში მოხდება ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება. რეკომენდაციები, რომლებსაც ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს აუცილებელ სტანდარტებს წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომ მოხდეს სტანდარტების დაცვა, მათ შორის:

- სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება, დაცული იყოს ყოველგვარ ვითარებაში, მათ შორის პანდემიის პირობებში.
- პანდემიის პირობებში უმთავრესი როლი - ადამიანის ჯანმრთელობა და მისი დაცვისათვის შესაძლო შეზღუდვები, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებში, ისე სასამართლო შენობებში.
- აუცილებელი მართლმასჯულების სერვისების ხელმისაწვდომობა, მიუხადავად ეპიდ ვითარებისა.
- სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო საშულაებების უზრუნველყოფა, როგორიცაა ინტერნეტი, ტელეფონი, იმეილი და სხვა.
- მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტებად დაყოფა და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ასეთი საჭიორების მქონე ადამიანებებზე.
- აუცილებელი კონტროლი სამართლიანი მართლმასუჯულებისთვის დაწესებული ვადების მიმართ და შესაბამისად მათი პრიორიტეტების მიხედვით დალაგება;

- ტრენინგების და სასწავლო კურსების დაგეგმვა ტექნოლოგიების გამოყენებაში (ეს პუნქტი, როგორც ავღნიშნეთ საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს);
- პანდემიის დროს მიღებული გამოცდილება უნდა შეფასდეს რაციონალურად, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს მზად შეხვდეს მსგავს სიტუაციას მართლმსაჯულება. [29]

3.3 დისტანციური სხდომების უპირატესობები

წინა ქვეთავში ვისაუბრე დისტანციური სხდომების გამომწვევ მიზეზებზე და პრობლემებზე, რაც საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დადებითი მხარეც, რაც ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

მრავალ ქვეყანაში სასამართლო სხდომების ელექტრონულად წარმართვა ხელს უწყობს იაფი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, არაერთი ქვეყანა ცდილობს დისტანციური მართლმსაჯულების შემოღებას სხვადასხვა მიმართულებით. ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე კარგი იქნება, რომ საქართველოშიც მოხდეს თანამედროვე მიდგომების დანერგვა. საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება პანდემიის შემდეგ ელექტრონული საქმისწარმოების გაგრძელებას, თუმცა მაინც გამოიკვეთა უპირატესობები. კერძოდ:

- მხარეს აქვს შესაძლებლობა პროცეს ჩაერთოს ნებისმიერი ადგილიდან;
- იზოგება მხარეთა და სასამართლო ხარჯები;
- იზოგება გადაადგილების და დარბაზში ლოდინის დრო
- ეტლით მოსარგებლე და შეზღუდული მხედველობის მქონე პირებისთვის ადვილდება პროცესში მონაწილეობა;
- ზოგიერთი პირი დისტანციური ჩართვისას უფრო თავისუფლად საუბრობს.

[29] იხ:The Europian commission for the Justice (CEPE), declaration of lessons Learned and Chellenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic[ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 თებერვალს] https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2

„უფლებები საქართველო“-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც აშშ-ს საეთაშორისკო განვითერების სააგენტოს დახმარებით იქნა ჩატრაებული, აღწერს დისტანციური სხდომის უპირატესობებს, რომლებსაც საფუძვლად სხვადასხვა ტიპის კვლევები უდევს. გამოკითხულთა აზრით, დისტანციური მართლმსაჯულება შეიძლება დაინერგოს როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. მართლმსაჯულების განმახორციელებელ უწყებებში უკვე არსებობს აზრები, რომ დისტანციური მართლმსაჯულება ინტეგრირდეს არადისტანციურთან, თუმცა ამისთვის უამრავი პრობლემის გადალახვა და რიგი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.[30]

თუმცა, როგორც ავღნიშნეთ ეს უმეტესწილად წარმოადგენს, დასავლეთის პრაქტიკის შედეგს, მათ აზრს, რადგანაც ესენი არიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომლებთათვისაც ის პრობლემები, რომლების ჩამოვთვალეთ საქართველოს რეგიონებთან მიმართებაში შედარებით უცხოა. აქედან გამომდინარე, მომავალში, როცა შესაძლებლობა გვექნება დავუბრუნდეთ ჩვეულ ცხოვრების წესს, მაშინ, როცა არ იქნება სავალდებულო დისტაციური წესით მოხდეს სხდომების ჩატარება, შესაძლებელია დაინერგოს შერეული ტიპის დისტანციური განხილვის წესი, თითოეულ საქმეზე, ინდივიდუალური მიდგომის და განხილვის შედეგად.

[30] http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf

დასკვნა

როგორც სამაგისტრო ნაშრომის შესავალში ავღნიშნეთ, ნაშრომის მთავარი მიზანი იყო 2020 წლის პანდემიის პერიოში თუ როგორ ხორციელდებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვა დისტანციურ გარემოში, უამრავი ტექნიკური ხასიათის პრობლემა და გამოწვევა, რაც მუშაობის შედეგად მოგვარებად პრობლემების ნუსხაში შედის.

ნაშრომი ერთ-ერთი პირველი კვლევაა, რომელიც საგანგებო ვითარებაში არსებული მდომარეობის დროს და მისგან გამომდინარე იქნა დამუშავებული და შევეცადე ელექტრონული მართლმსაჯულების კრახზე და ეფექტიანობაზე მესაუბრა. ისევე როგორც მსოფლიო, მათ შორის საქართველოც არ ყოფილა მსგავს სიტუაციაში, არ ჰქონდათ ელექტრონული მართლმსაჯულების წარმოების გამოცდილება და შესაბამისად არ იყო განსაზღვრული წინასწარ რაიმე სახის გეგმა. მიუხედავად ამისა, ქართულმა მართლმსაჯულებამ ფეხი აუწყო პანდემიისგან გამოწვეულ რეგულაციებს.

„ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პენდემიის დროს“ მიხედვით ჩატარებული კვლევის შედეგად დისტანციურად განხილული სამართალდარღვევის საქმეთა უმეტესობა გადაიდო, ჩაიშალა ან დაგვიანებით დაიწყო ტექნიკური გაუმართაობის გამო. გარდა ამისა, ბრალდებულნი ხშირ შემთხვევაში ნაკლდებად განათლებულნი აღმოჩნდნენ ტექნიკური კუთხით. ჩატარებული კვლევის მიხედვით სხდომებზე დასასწრები ლინკები წინასწარ იგზავნებოდა ბრალდებულის მეილზე, შესაბამიზად ბრალდებული ლინკს დაგვიანებით ან კიდევ საერთოდ ვერ პოულობდა. ეს არის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც დისტანციური მართლმსაჯულების უარყოფით მხარეს წარმოადგენს.

ჩემი აზრით, მიუხედავად უამრავი ხარვეზისა, უამრავი პრობლემისა და დაუღალავი შრომისა დისტანციური სამართალწარმოება 2020 წლის პანდემიის პერიოდში ერთ-ერთი ნაბიჯი იყო იმისა, რომ ქვეყანაში ადმინისტარციულ სამართალდარღვევებზე შესაბამის ორგანოებს რეაგირება მოეხდინა და მაშინ, როდესაც მსოფლიო და ამასთან საქართველოც Lockdown-ის პრინციპით ცხოვრობდა ქვეყანაში ქაოსი არ შექმნილიყო ამ მიმართულებით.

სამწუხაროდ, წინასწარ რთულია საუბარი მსოფლიოში პანდემიური ვითარება როგორ გაგრძელდება, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, კაცობრიობას მოგვიწევს უხილავ მტერთან ერთად თანაცხოვრება, ამიტომ მნიშვნელოვანია თუ სამართლებრივი კუთხით გატარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანობი, სასამართლოები სამართლიანი, ეფექტიანი, კანონიერი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად ვალდებულნი არიანი განახორციელოს არათუ მხოლოდ ღონისძიებები, არამედ გადადგას ქმედითი ნაბიჯები. არსებული ქმედითი ნაბიჯების აუცილებლობა, მხოლოდ დღევანდელი რეალობიდან არ გამომდინარეობს. ეს ყველაფერი აწმყოთი ვერ შეფასდება, რადგანც მომავლში, როცა იმედი გვაქვს, რომ ადმინისტრაციული და სახელმწიფო ორგანოები, გადავლიან ჩვეულ ცხოვრების რიტმში, შესაძლებლობა გვქონდეს, მომავლი უკეთ დაიგეგმოს. კერძოდ, ვგულისხმობ თუნდა ევროპის საბჭოს რეკომენდიებს, სადაც ნათქვამია, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მართლსაჯულების განხორცილება შერეული ტიპით, დისტანციური მართლმსაჯულების ინტეგრირება არადისტანციურ მართლმსაჯულებასთან.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩატარებული კვლევის შედეგად, „საია“-ს ანგარიშის დახმარებით და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონმდებლობაში არამედ პრაქტიკაშიც:

- კარგი იქნება თუ სასამართლოები უზრუნველყოფენ დისტანციურ სხდომებზე მონიტორების არსებობას და დაინტერესებული პირების ჩართვას.
- დისტანციურ სხდომაზე დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის მიზნით გამოიცეს რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლის თავიდან აცილება და დაცული იქნება იმ პირთა ინტერესები, რომელნიც პროცესში მონაწილეობენ.
- სასამართლომ მოახდინოს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების განთავსება საკუთარ ვებგვერდზე.

- დისტანციურ სხდომებზე მონაწილე პირთათვის სასურველია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით უზრუნველყოფილი იყოს სხდომებზე იმ პირთა ჩართვა, რომელთაც არ აქვთ ტექნიკური საშუალებები სხდომაზე დასასწრებათ, შესაბამისად ეს არ გახდება სხდომის ჩაშლის ან გადადების წინაპირობა.
- შესაბამისი უწყებების მიერ მოხდეს პროცესში მონაწილეთა გადამზადება ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს აუდიო, ვიდეო და ფოტო გადიდების წესი დისტანციური სხდომების ჩატარების დროს.
- აუცილებელი პირობაა მხარეებმა დაიცვან ეთიკის წესები სხდომის მიმდინარეობისას.

მოკლე რეზიუმეს სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტული ნაშრომის, რამდენიმე კვლევის და მომავალში კიდევ ასეთის არსებობა, პირველ რიგში ემსახურება არსებულ რეალობაში, პრობლემების და ხარვეზების გამოვლენას, მომავალში ეფექტიანი და სამართლიანი მართლმსაჯულების არსებობას, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის მიზანს წარმოადგენს, სადაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, სადაც როგორც არადისტანციური, ისე დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელება გაგრძელდეს საეთაშორისო ნორმების და სტანდარტების სრული დაცვით.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ევროკავშირი საქართველოსთვის „covid-19 და პასუხისმგებლობის ზომები:კონსტიტუციურობის სისტემური პრობლემა“.* https://idfi.ge/public/upload/EU/systemic_problem_of_constitutionality.pdf
2. მაკა სალხინაშვილი, ტარიელ ჭინჭარაული,გამომცემლობა„მერიდიანი“2010 წელი „ადმინისტრაციული სახდელები“
3. ელექტრნული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf
4. სასამართლო პანდემიის დროს[ბოლოს ნანახია 2020 წლის 15 იანვარს] http://ewmiprolog.org/images/files/4294withcover.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1.pdf
5. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისტანციური წესით გამართული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“ https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-distantsiuri-tsesit-chatarebuli-siskhlis-samartlis-skhdomebis-monitoringis-angarishs-akveqnebs
6. ტურავა პ, ხარშილაძე ი, სალხინაშვილი მ, ყალიჩავა კ, ცხადაძე ქ, კილასონია ნ, სუხიშვილი ნ, გიორგიშვილი ქ, ჯორბენაძე ს, დეპე ი, „ადმინისტრაციული სამართალი“ სამეცნიერო პოპულაური ჟურნალი მაია კოპალეიშვილის რედაქტორობით,თბილისი 2016 http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-journal-administrative-law.pdf
7. ხობელია დ, მართლმსაჯულება და კანონი, #1 (65) წელი2020 „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები და კონსტიტუციური პრინციპები“ http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2020w-n1.pdf
8. https://studfile.net/preview/4164389/page:5/#7(10.05.2019)
9. https://stopcov.ge/
10. http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf
11. The Europian commission for the Justice (CEPE), declaration of lessons Learned and Chellenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2

საკანონმდებლო აქტები

1. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები.

https://midorinw.wordpress.com/2017/04/18/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A/

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473
3. *სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის უზენაესობა.* https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-21

[1] 4. *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი.* http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/saqartvelos-mtavrobis-mier-sakanonmdeblo-iniciativis-wesit-warmodgenili-saqartvelos-kanonis-proeqti-saqartvelos-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi-cvlilebis-shetanis-shesaxeb-tandartul-kanonproeqtebtan-ertad.page

5. საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36